განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა

საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი

25-26.10.2021

22.12.2021

თბილისი, 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა Mass Communication/Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი Master of Masscommunication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	40 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი, სწავლების არანაკლებ 3 წელი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 27/11/2012, გადაწყვეტილება N722

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია კუპრაშვილი - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია სვანიძე - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ***მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა*** მოქმედებს 2012 წლის 27 ნოემბერიდან (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწვეტილება N722). წინამდებარე აკრედიტაციის შემდგომ უკვე 2013 წლიდანვე პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან გათვალისწინებულია ექსპერტთა პრაქტიკულად არსებითი რეკომენდაციები და რჩევებიც:

- ✓ ტერმინი „სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები“, შეცვლილია „სწავლის შედეგები/ კომპეტენციებით”, გამიჯნულია სიტყვათშეთანხმება „მასობრივი“ და „კომუნიკაციისმცოდნეობა“;
- ✓ პროგრამაში სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაიწრა, რაც აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში;

2017 წლიდან მოდიფიცირდა:

- საუნივერსიტეტო რეორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ და სასწავლო კურსებში აისახა შესაბამისად ადმინისტრაციული ცვლილებები (შეიცვალა ფაკულტეტის დასახელება, კოდი (ნაცვლად 07-ისა გახდა 12), დეკანი ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი. სახელწოდებას დაემატა ***ჟურნალისტიკა*** (იყო მასობრივი კომუნიკაცია და ამ ეტაპზე ეწოდება **მაოსბრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა**);
- მოდიფიკაცია შეეხო სასწავლო კურსების ფორმალურ მხარესაც (სილაბუსებში აისახა შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათობრივი ბადე:

მოდიფიცირებამდე	მოდიფიცირების შემდგომ
5 კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათები იყო: 45სთ. ლექცია, 99 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა 90 სთ.;	5 კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათებია: 45 სთ. ლექცია; 2 სთ, შუალედური და 1სთ. დასკვნითი გამოცდა; დამოუკიდებელი მუშაობა 87სთ.;

მოდიფიცირების შემდგომი ეტაპი განხორციელდა 2018 წელს, რის შედეგადაც:

- ✓ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის, №01-05-04/01 დადგენილებაში მიმდინარე ცვლილება, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული ფორმის დამტკიცება;
- ✓ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის, №2691 დადგენილების (სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის ცვლილებების შესახებ) საფუძველზე, სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში) შეიცვალა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ერთი კრედიტის რაოდენობა კი განისაზღვრა 25 საათით (ადრე 1 კრედიტი უტოლდებოდა 27 საათს).
- ✓ დაზუსტდა და დაკონკრეტდა პროგრამის სწავლის შედეგები;
- ✓ პროგრამას დაემატა აღწერა;
- ✓ სასწავლო კურსებს „აკადემიური წერა“ და „სწავლების მეთოდები“ დაემატა სემინარი. შესაბამისად, შეიცვალა საკონტაქტო საათების განაწილება. კერძოდ, ნაცვლად 45 სთ. ლექციისა გახდა 15 სთ. ლექცია, 30 სთ. სემინარი.

2021 წელს, რეაკრედიტაციის მიზნით, პროგრამა მოდიფიცირდა, კერძოდ:

- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანახმად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაზუსტდა სწავლის შედეგები და პროგრამის მიზანი;
- ✓ მოდიფიცირებამდე მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო: „სოციალური მეცნიერებების დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში“; მოდიფიცირებულ პროგრამაშია: „მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი“;

- ✓ შეიცვალა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. მოდიფიცირებამდე აპლიკანტს მოეთხოვებოდა ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, იტალიური, თურქული) ცოდნა B² დონეზე. მოდიფიცირებულ პროგრმაში კი ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნა B² დონეზე. ასევე უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება;
- ✓ მოდიფიცირებამდე სასწავლო კომპონენტს ეთმობოდა 60 კრედიტი, მოდიფიცირების შემდეგ სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი;
- ✓ პროგრამიდან ამოღებულია:

  - **ძირითადი სასწავლო კურსები**: „თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა“, „მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები“ , „მეორე თემატური სემინარი“;
  - **არჩევითი სასწავლო კურსები**: „საზოგადოებასთან ურთიერთობის ჟურნალისტიკისმცოდნეობითი ასპექტები,“ „გლობალიზაციის პროცესი“, „მასკომუნიკაციის საშუალებათა მენეჯმენტის აქტუალური საკითხები“.
  - 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, ჩაანაცვლა 4 კრედიტიანმა სასწავლო კურსმა „ სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“. „სწავლების მეთოდები“ იყო 5 კრედიტიანი და გახდა 6 კრედიტიანი; „პროფესორის ასისტენტობა“ იყო 5 კრედიტიანი და გახდა 10 კრედიტიანი; პირველი თემატური სემინარი იყო 15 კრედიტიანი, მოდიფიცირებულ პროგრამაში ჰქვია თემატური სემინარი და 10 კრედიტიანია.
- ✓ პროგრამას დაემატა 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ სოციალური კვლევის მეთოდები“.
- ✓ კვლევითი კომპონენტი აღარ იზომება კრედიტებით და ფასედბა ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩაინიშნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 ოქტომბრის ბრძანების (N1099955) თანახმად. ვიზიტი წარიმართ ჰიბრიდულად 25 და 26 ოქტომბერს, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების მიმდინარეობისას.

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დღის წესრიგით გათვალისწინებული სესიების მიხედვით. ადმინისტრაცულმა და აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. შეხვედრები წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. ინტერვიუები ჩატარდა ღიად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ზედმიწევნით და ამომწურავად შეეჯერებინათ დოკუმენტური მასალები რეალურ ვითარებასთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატურ ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, მოსაზრებები და კონკრეტული რჩევები სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ***მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა*** აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**მოთხოვნებთან**
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილი დარგობრივი ექსპერტების მიერ, ამავე ექსპერტების მოსაზრებით ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.1

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში წარმოდგენილი მაღალკალიფიციური მკვლევრის მომზდება უნდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის არამხოლოდ კვლევით, არამედ სასწავლო კომპონენტში, რაც ამ ეტაპზე სუსტადაა გამოხატული.

კომპონენტი 1.2

- ✓ მიზნობრივად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რათა პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან.

კომპონენტი 2.1

- ✓ გადაიხედოს დაშვების წინაპირობება, შესაბამისად, დაორექტირდეს სასწავლო პროგრამის სტრუქტურა.

კომპონენტი 2.2

სასწავლო კომპონენტს დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსები:

- ✓ მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები;
- ✓ მასკომუნიკაციის თეორიები

იმ სტუდენტებისთვის, რომლეთაც არ აქვთ დამთავრებული მასობრივი კომუნიკაცი/ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა, ან პროგრამამ მისცეს საშუალება დოქტორანტს, დაშვების ფარგლებში , წინამდებარე კურსების კომპეტენცია შეივსონ კურიკულუმს მიღმა აქტივობის საფუძველზე წინა საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე.

კომპონენტი 2.3

- ✓ გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება;
- ✓ სოციალური კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა;
- ✓ გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით;
- ✓ დაემატოს მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების არჩევითი კურსი.

კომპონენტი 3.1

- ✓ რეკომენდებულია დაწესებულების მიერ განხოციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის/კვლევის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- ✓ რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი კვლევითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

კომპონენტი 4.1

- ✓ საჭიროა პროგრამამ მოიზიდოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევრები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს.

კომპონენტი 4.4

- ✓ ბიუჯეტს უნდა დაემატოს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერის სქემა.

კომპონენტი 5.1

- ✓ აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

კომპონენტი 5.3

- ✓ მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.1

- ✓ სასურველია პროგრამის გადამუშავება განხორციელედეს ინსტიტუციური სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მიზნებშიც აისახება.

კომპონენტი 2.2

- ✓ რამდენადაც, მოთხოვნის შესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის B^2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთვისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

კომპონენტი 2.3

- ✓ სასწავლო კურსის: „პროფესორის ასისტენტობა“, სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა და, გარდა ამისა, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსი ან მოდული სწავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.

კომპონენტი 3.2

- ✓ სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს დოქტორანტურის პროგრამის დებულებაში - შესაბამისი წესი, რომლის მიხედვით დადგინდება, დაწესებულების პროფესორს, რომელიც დოქტორანტს დისერტაციაზე მუშაობაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება.

კომპონენტი 4..3

- ✓ სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს ფუნქციონირების განახლება ჰიბრიდულ რეჟიმში, რათა სტუდენტებს მიეცეთ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება სხვადასხვა სახის ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად.
- ✓ სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება.

კომპონენტი 4.4

- ✓ სასურველია ბიუჯეტში დეტალურად გაიწეროს წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი ხარჯები.

კომპონენტი 5.1

- ✓ სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე;
- ✓ სასურველია მომზადდეს ანალოგიური პროგრამების შედარების დოკუმენტი, რომელიც დართული ქონდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თვითშეფასების თანმხლებ დოკუმენტებს. შედარებითი ანალიზი პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობას მისცემდა გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკები და გამოცდილება დარგის კვლევებში.

კომპონენტი 5.2

- ✓ სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის გამრავალფეროვნება დარგობრივი ნიშნით და გამოცდილებით და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში;
- ✓ პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში. კორესპონდენციაში წარმოდგენილი არგუმენტები ექსპერტთა მიერ მიჩნეულ იქნა არასაკმარისად, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები დარჩა უცვლელად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა ,,მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე), იმეორებს ამავე ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებას და სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ანიჭებს მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის ხარისხს. პროგრამის მიზანია ,,მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარების მქონე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი სპეციალისტის, პედაგოგის და მკვლევარის მომზადება. დოქტორანტთათვის მასობრივი კომუნიკაცია / ჟურნალისტიკის თანამედროვე მიმდინარეობის, კონცეფციებისა და ტენდენციების სწავლება“. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა დოქტორანტს სთავაზობს არანაკლებ 3 წლიან სწავლებას (6 სემესტრი) და სასწავლო კომპონენტებს უთმობს 40 კრედიტს, რომელიც მოიცავს მხოლოდ: ,,სამეცნეირო კომუნიკაციის ტექნიკას“, ,,სწავლების მეთოდებს“ ,,სოციალური კვლევის მეთოდებს“ ,,თემატურ სემინარს“ და ,,პროფესორის ასისტენტობას“. მათგან სამეცნიერო კვლევის ტექნიკა (მოდიფიცირებამდე ,,აკადემიური წერა“) არის 4 კრედიტიანი მოდიფიცირებამდე (5 კრედიტიანი) კურსი. პროგრამის მოდიფიცირების შემდეგ, სხვა საგნებთან ერთად, აგრეთვე ამოღებულია ,,მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები“ . პროგრამა არ სთავაზობს დოქტორანტს მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდების შესწავლას. საგულისხმოა, რომ პროგრამაზე დაშვება აქვთ როგორც სოციალურ, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრებს. შესაბამისად შეუძლებლად მიგვაჩნია მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდების, თეორიებისა და კონცეფციების სწავლების გარეშე პროგრამამ შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ წინარე ცოდნის დეფიციტი ვერ ანაზღაურდება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, ვინაიდან სადოქტორო პროგრამის დიდი წილი ეძღვნება კლევას და უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე ახალი პროდუქტის, ახალი ცოდნის შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტს მოეთხოვება კვლევითი პროექტის წარდგენა, შეუძლებელია დარგის მეთოდოლოგიის და სპეციფიკის ცოდნის გარეშე, მიუხედავად გამოცდილებისა, აპლიკანტმა დაძლიოს კვლევითი ამოცანა, ტუნდაც პირველ ეტაპზე, ისე რომ კომისიას შესაზლებლობა ჰქონდეს , გააკეთოს დასკვნა, რამდენად მოახერხებს შემდგომში დოქტორანტი კვლევის წარმატებით დასრულებას. ასეთ შემთხვევასი პროგრამას უნდა ჰქონდეს გარკვეული დათქმა, რომ დოქტორანტმა დეფიციტური ცოდნა შეივსოს კურიკულუმის მიღმა აქტივობის საფუძველზე (მაგალითად დაბალი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურებიდან). ამდენად რთულია დოქტორანტს შედეგად მიენიჭოს მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის კვალიფიკაცია. ვერ მივიღეთ დამატებითი მტკიცებულებები, რომ პროგრამა ახერხებს მიზნის შესაბამისად **,,მასორბივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარების“** გამომუშავებას. ზოგადად, პროგრამა სუსტია ინტერნაციონალიზაციის კუთხით, არ ითვალისწინებს და მოითხოვს უცხოელ პროფესორთა ჩართულობას სადოქტორო კვლევის განხორცილების ან შეფასების რომელიმე ეტაპზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში წარმოდგენილი მაღალკალიფიციური მკვლევრის მომზდება უნდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის არამხოლოდ კვლევით, არამედ სასწავლო კომპონენტში, რაც ამ ეტაპზე სუსტადაა გამოხატული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია პროგრამის გადამუშავება განხორციელდეს ინსტიტუციური სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მიზნებშიც აისახება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შედეგები პროგრამაში ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით, კურსდამთავრებული: 1. აანალიზებს მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს უახლეს მიღწევებს, რაც იძლევა თანამედროვე კომუნიკოლოგიაში არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის მიმართულებით მულტიდისციპლინურ (ინტერდიციპლინურ) კონტექსტში, რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; 2. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს განახლებული ცოდნის ფარგლებში ახდენს არსებული ცოდნის გააზრებას და მისი გადაფასების საჭიროებას. 3. კომუნიკოლოგიის სფეროს ცოდნას იყენებს მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის პრობლემების ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის, ახლებური კვლევითი მეთოდებისა და მიდგომებისათვის. 4. შეუძლია მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა. 5. პროგნოზირებს მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარებას; მზაობას სწავლისა და მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროში საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში ჩართულობისათვის. 6. სწავლებას წარმართავს დამოუკიდებლად სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიებით, ინოვაციური ცოდნის მიცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებებით, პრობლემებისა და საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტის

ჩართულობა/მონაწილეობის უზრუნველყოფით, მათი შეფასების რელევანტური მეთოდებითა და კრიტერიუმებით. 7. აღიარებს მასობრივი კომუნიკაცია /ჟურნალისტიკის, როგორც თანამედროვე საზოგადოების უმთავრესი კაპიტალით - ინფორმაციით - უზრუნველყოფის ცოდნის დარგის, ღირებულებებს, მათი დამკვიდრების გზებს; პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის ნორმებსა და პრინციპებს. 8. შემოქმედებითად და დასაბუთებულად წარმოაჩენს მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროში არსებულ ტრადიციულ ცოდნაზე დამყარებულ ახალ ხედვებს, კონცეფციებსა და სტრატეგიებს. თუმცა, შედეგების ამგავრი აღწერის მიუხედავად, პროგრამული ბადე და სილაბუსების შინაარსი, ასევე პროგრამის შედეგად მიღებული კვლევები - სადოქტორო ნაშრომები, აჩვენებს რომ გაწერილი შედეგების დიდი წილი შეუძლებელია მიღწეულ იქნას. მაგალითად, ის გარემოება, რომ სადოქტორო ნაშრომებში დიდწილად გამოტოვებულია კვლევითი ჩარჩო, მეთოდოლოგია, თეორიული საფუძვლები, აჩვენებს, რომ დოქტორანტები ან არ ფლობენ შესაბამის ცოდნას, არ ვერ ახერხებენ სწავლის შედეგების დემონსტრირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
რეკომენდაციები: • მიზნობრივად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რათა პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე), სწავლის უფლება აქვს სოციალურ ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო ფორუმი მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, და ა.შ.). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B² დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. პროგრამაში და დებულებაში ზუსტად არ არის გაწერილი გასაუბრების ფორმა და კონკრეტულად რა მოეთხოვება კონკურსანტს გასაუბრების დროს. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://gtu.ge/Science/doctorantura.php პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პრობლემურია დაშვების წინაპირობის გარკვეული დეტალი, მართალია პროგრამა ღიაა, როგორც სოციალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრისთვის, მაგრამ ამ ტიპის აპლიკანტთა წინარე ცოდნის დარგობრივით შევსება სავსებით შესაძლებელია სწავლის ეტაპზე დამატებით სოციალური და მასკომუნიკაციური კვლევის უნარებისა და ცოდნის მიმნიჭებელი დარგობრივი სასწავლო კურსების შეთავაზებით. ამიტომ პროგრამის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ან დაშვების წინაპირობების გადახედვა, შესაბამისად, სასწავლო პროგრამის სტრუქტურის დაკორექტირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება; • თვითშეფასების დოკუმენტი; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სიახლეების ვებგვერდი https://gtu.ge/.
რეკომენდაციები: • გადაიხედოს დაშვების წინაპირობება, შესაბამისად, დაორექტირდეს სასწავლო პროგრამის სტრუქტურა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა, თანდართული დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემის საფუძველზე. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება არანაკლებ 3 წელისა (6 სემესტრი), სასწავლო კომპონენტებს ეთმობა 40 კრედიტი. პროგრამის სასწავლო კომპონენტებია: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა - 4 კრედიტი; სწავლების მეთოდები - 6 კრედიტი; სოციალური კვლევის მეთოდები-10 კრედიტი; თემატური სემინარი -10 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი. სასწავლო კომპონენტი არ მოიცავს მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდებს. იმის გათვალისწინებით, რომ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ არა მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, არამედ სხვა ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებს, ნაკლებად შესაძლებელია, რომ ისინი ფლობდნენ მასკომუნიკაციის კვლევის მეთოდებს (მსგავსი საგანი არ შედის სტუ-ის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამაშიც), რაც ხელს შეუშლის მათ საფუძვლიანად ჩაატარონ კვლევა მასკომუნიკაციაში, ამასთან, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი.

პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი - 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა.

დოქტორანტი კვლევითი კომპონენტების მომზადებას იწყებს მეორე სემესტრიდან: პროექტი/პროსპექტუსი; მესამე სემესტრი: კოლოკვიუმი - 1; მეოთხე სემესტრი: კოლოკვიუმი -2; მეხუთე სემესტრი: კოლოკვიუმი -3; მეექვსე სემესტრი: წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. სასწავლო წელი შედგება ორი – საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრისაგან. შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადები დგინდება ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანებით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ საფუძველზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე https://gtu.ge/Orders/ პროგრამა განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე, შესაბამისად, ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შესრულება. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი და ეძლევა შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;

- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

სასწავლო კომპონენტს დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსები:

- ✓ მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები;
- ✓ მასკომუნიკაციის თეორიები

იმ სტუდენტებისთვის, რომლეთაც არ აქვთ დამთავრებული მასობრივი კომუნიკაცი/ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა, ან პროგრამამ მისცეს საშუალება დოქტორანტს, დაშვების ფარგლებში , წინამდებარე კურსების კომპეტენცია შეივსონ კურიკულუმს მიღმა აქტივობის საფუძველზე წინა საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რამდენადაც, მოთხოვნის შესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის B[2] დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთვისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას, სასწავლო კურსის გაძლიერების მიზნით, რამდენიმე მოსაზრება გამოიკვეთა. კერძოდ, სასურველია კომუნიკაციის კრიტიკული თეორიების ჩართვა და გაძლიერება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაცია და არ იცნობენ სფეროს იდეოლოგიურ თუ საზოგადოებრივ კონტექსტსა და არსს. მეორე მხრივ, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეზღუდული არ არის პროფესიული ნიშნით. ამდენად, იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც სწავლების წინა ეტაპზე შესაბამისი თეორიული კურსები არ გაუვლიათ, ვფიქრობთ, აუცილებელია არჩევითი კურსის ფარგლებში პროგრამამ შესთავაზოს დამოუკიდებელი არჩევითი კურსი თეორიული ცოდნის ასათვისებლად. სოციალური კვლევის მეთოდების კურსი, რომელიც პირველივე სემესტრში ისწავლება და 10-კრედიტიანია, სასურველია გაიყოს ორ, თუნდაც რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში, რომ სტუდენტს დოქტორის კვალიფიკაციის შესაბამისი ღრმა ცოდნა მისცეს კვლევის მეთოდების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების შესწავლაც. ამასთან, რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის სწავლება სასწავლო პროგრამაში. ეს შესაძლებელია მოხდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის კურსში მონაცემების სტატისტიკური ანალიზისთვის გარკვეული საათების დათმობით, ან ცალკე, არჩევით კურსად შეთავაზების გზით, ან ამ ორის

შეჯერების გზით. სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კურსი არის „პროფესორის ასისტენტობა“, რომელიც დოქტორანტისთვის პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას ემსახურება. თავისი შინაარსით კურსი წარმოადგენს „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ კურსში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, შესაბამისად, იმისათვის, რომ დოქტორანტმა შეძლოს კურსის მიზნის მიღწევა - დამოუკიდებლად სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება, სასურველია, კურსის დასახელება შეიცვალოს და დოქტორანტს არსებულ კურსში პროფესორის ასისტენტობის გარდა, მიეცეს დამოუკიდებლად არჩევითი სასწავლო კურსის ან მოდულის შექმნისა და სწავლების საშუალება ქვედა საგანმანათლებლო საფეხურებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
რეკომენდაციები: • გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება; • სოციალური კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა; • გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით; • დაემატოს მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების არჩევითი კურსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლო კურსის: „პროფესორის ასისტენტობა“, სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა და, გარდა ამისა, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსი ან მოდული სწავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს დოქტორანტთა პრაქტიკული უნარის განვითარებას. ამ მიზანს ემსახურება სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში 10 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებული პროფესორის ასისტენტობა. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით, მეცადინეობების - ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას. ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვა. სტუ-ს დოქტორანტურის დებულების თანახმად, სტუდენტს ევალება: სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი, სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება (დადგენილი წესის შესაბამისად); ასევე სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა (მინიმუმ ერთი მოხსენება). დოქტორანტების მიერ სტატიების გამოქვეყნება ხდება ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში.

ინტერვიუს დროს, დოქტორანტებმა და პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი მოთხოვნების შესაბამისად, დოქტორანტს მოეთხოვება ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება უცხოურ, მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალში. სტატიის თანაავტორი უნდა იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“; • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციების თეზისების კრებულები http://gtu.ge/Science/Conference/; • o სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ https://gtu.ge/Journals/newsletters/.
რეკომენდაციები: ✓
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს). თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება სწავლის მეთოდები ორიენტირებულია ცოდნის მიღებაზე, უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; წერითი მუშაობა; ახსნა-განმარტება ; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL); გონებრივი იერიში (Brain storming); სინთეზის; შემთხვევების შესწავლა (Case study); პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; ჯგუფური (COLLABORATIVE) მუშაობა. აღნიშნული აქტივობები ერთმანეთს ავსებს. ჩამოთვლილი აქტივობებიდან კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორი თავად განსაზღვრავს რომელი გამოიყენოს. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები ასახულია სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf; • ინტერვიუ აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან; სტუდენტებთან;

• თვთშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: ✓
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა - სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით. წინამდებარე პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში. შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების

შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდგომ. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმები განსაზღვრულია სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრულ სილაბუსებში. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი სათანადოდ არ ინტერესდება მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ უკუკავშირის/ინფორმაციის მიღება/ანალიზით, სასურველია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზს, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები, მოახდინოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება; სასურველია დაიხვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს ზეპირი და წერითი გამოკითხვის კომპონენტს. შეფასების კომპონენტებისას გამოყენებულია შეფასების ადეკვატური მეთოდები და კრიტერიუმები (პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაცია და სხვა).

დაწესებულების მიერ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია - ნაშრომზე მუშაობის, მისი დასრულებისა და დაცვის წესები და პირობები. დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი და პირობები გამჭვირვალე და კანონთან შესაბამისია. საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის დასკვნითი ნაწილია. ნაშრომი, დაცვამდე მოწმდება პლაგიატზე. დაცვა საჯაროა და ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი შიდასამართლებრივი აქტებით გაწერილი რეგლამენტის საფუძველზე. დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია - სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის, მისი დასრულებისა და დაცვის წესები და პირობები. უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება და „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“) თანახმად, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების კრიტერიუმებია:

- ➢ ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

- ➢ ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- ➢ კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- ➢ საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ➢ დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ➢ არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ➢ სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგად დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებებში არანაკლებ 30 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. დისერტაციის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის დასკვნითი ნაწილია. დასრულებული დისერტაცია უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას. სადისერტაციო ნაშრომის ერთჯერადად შეფასებაში მონაწილეობას იღებს გარე შემფასებელი. დაწესებულების მიერ სადისერტაციო ნაშრომი, მის დაცვამდე მოწმდება პლაგიატზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ➢ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ➢ სადოქტორო პროგრამა;
- ➢ სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- ➢ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ➢ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა - სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის გასაგებად არის აღწერილი; სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდასამართლებრივი აქტების თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. დაწესებულებაში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული ფოსტა, დაწესებულების ვებ-გვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ. აღსანიშვავია, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, უნიკალური საბიბლიოთეკო სივრცე, დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და აღნიშნულ რესურსებს სწავლის/კვლევის პროცესში სათანადოდ არ იყენებენ. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ განხოციელდეს სტუდენტთა

სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის/კვლევის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში, ანხორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას. დაწესებულება უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადა არის გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის კვლევის დასაფინანსებლად. დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, დაწესებულებას ასევე აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და ყავს არაერთი საზღვარგარეთის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისად აქვს საერთაშორისო გაცვლით კვლევით აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენების მსურველი სტუდენტების რაოდენობა ცოტაა. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი კვლევითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა; • სადოქტორო პროგრამის დებულება • პროგრამის ბიუჯეტი; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; • პროგრამის სილაბუსები; • ხელშეკრულებები და მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის/კვლევის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით; • რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი კვლევითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში,

უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა - სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სადოქტორო პროგრამაზე სასწავლებლად მიღებულ სტუდენტებს, სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში უხელმძღვანელებენ დაწესებულების პროგრამის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები. გარდა ამისა, დაწესებულება თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს ნაშრომზე მუშაობისას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დაწესებულებაში, სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დოქტორანტურის დეპარტამენტში უნდა წარადგინოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურები, რის საფუძველზეც დოქტორანტურის დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ; სადისერტაციო საბჭომ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი ან მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება, მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში გაწერილია დოქტორანტურის სტუდენტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. დაწესებულების მიერ, სადისერტაციო ნაშრომის შესრულების სტანდარტები, შიდასამართლებრივი აქტებით არის განსაზღვრული, რომელთა შესაბამისად ხდება ნაშრომის მომზადება, ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით განსაზღვრა და მისი საჯარო დაცვა. აღსანიშნავია, რომ

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოქტორანტურის დებულებაში, საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს, თუ რამდენი დოქტორანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს დოქტორანტურის პროგრამის დებულებაში - შესაბამისი წესი, რომლის მიხედვით დადგინდება, დაწესებულების პროფესორს, რომელიც დოქტორანტს დისერტაციაზე მუშაობაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, ინტერვიუირების პორცესში, პროგრამის სტუდენტების და სადოქტორო ნაშრიმის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ სტუდენტებთან ნაშრომზე მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო რესურსით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესები, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომების შემოწმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ფაკულტეტის დებულება • პროგრამის სილაბუსები; • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV); • დაცული სადოქტორო ნაშრომები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს დოქტორანტურის პროგრამის დებულებაში - შესაბამისი წესი, რომლის მიხედვით დადგინდება, დაწესებულების პროფესორს, რომელიც დოქტორანტს დისერტაციაზე მუშაობაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პირები - აფილირებული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, შერჩეული არიან ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 4 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა არის 15. სადოქტორო პროგრამაზე ირიცხება 27 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა არის 17. ბოლო 6 წლის განმავლობაში დაცული დისერტაციების რაოდენობა ჯამში შეადგენს 48-ს. აქედან, 2020 წელს დაცული დისერტაციების რაოდენობა არის 15, ხოლო 2021 წელს- 10. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სრულად ადეკვატური არ არის სტუდენტების რაოდენობასთან. საბაკალავრო პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენილია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რითაც დგინდება , რომ პროფესორთაგან საგანმანათლებლო საფეხურზე, არც ერთი არ ფლობს ჟურნალისტიკის ან მასობრივი კომუნიკაციის კვლიფიკაციას. მხოლოდ სამს (მათგან ერთი მოწვეული პროფესორია), აქვთ კვლევები მასობრივი კომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის მიმართულებით. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ქართულ სამეცნიერო სივრცეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; • დეკანატისა და დეპარტამენტის სპეციალისტების სამუშაო აღწერილობები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV; • თვითშეფასების ანგარიში; • ვიზიტის პროცესებში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • საჭიროა პროგრამამ მოიზიდოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევრები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმიურად აანალიზებს პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შრომის ხარისხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, გეგმიურად ხვდებიან პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს, უმარტავენ მათ საუნივერსიტეტო რეგულაციებს, უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსების გამოყენების წესებსა და შესაძლებლობებს. უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამის ფუნქციონირებაში ჩართული პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებასა და პროფესიულ განვითარებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისპრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია ,,ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება ძირითადად დაფუძნებულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სტრატეგიაზე“. პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის მიზნებია: აკადემიური პერსონალის კომპეტენციების დადგენა; აკადემიური პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება; აკადემიური პერსონალისთვის დახმარების გაწევა; აკადემიური პერსონალის მუდმივი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა; აკადემიური პერსონალის ტრეინინგის საჭიროებების განსაზღვრა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. სტუ-ში ფუნქციონირებს რექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისა“, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მიღწეული შედეგების შეფასება წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით: ✓ აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში; ✓ აქტივობებიმეცნიერების მიმართულებით;

✓ სტუ–სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები.

პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე http://my.gtu.ge/.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან უმრავლესობას აქვს სხვადასხვა ტრენინგების სერთიფიკატები და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი.

თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ასეთია: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 149; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 67; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 57; საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 73; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები -3 მონოგრაფია, 28 სახელმძღვანელო.

თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის პრიორიტეტს წარმოადგენს წახალისების სისტემის ინტეგრირება პერსონალის მართვის პოლიტიკაში. წახალისების ღონისძიებები ხორციელდება როგორც ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე საყოველთაო წახალისების გზით, პრემირებისა თუ სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 5);
- მეცნიერული მიღწევების პერსონალური გვერდი, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე http://my.gtu.ge/ ;
- ვიზიის პროცესში გამართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე. ინფრასტრუქტურა, სასწავლო სივრცე, ტექნიკური აღჭურვილობა, აუდიტორიების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის შესაბამისი ტექნიკური რესურსი, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნსაცავია. ბიბლიოთეკის უნივერსალური ფონდი სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული გამოცემებისგან შედგება. მათ შორისაა ისეთი უნიკალური (რარიტეტული) გამოცემები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ აქ არის დაცული და უიშვიათეს ეგზემპლარებს წარმოადგენს, კერძოდ, დაცულია მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეების ტექნიკური, საინჟინრო და ჰუმანიტარული სპეციალობის ქართული, ევროპული და ამერიკული გამოცემები. რამდენიმე მილიონ საბიბლიოთეკო ერთეულს შორის არის როგორც წიგნები, ისე პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ნაწილია წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ბაზა. რესურსები კატალოგიზებულია და მარტივად შესაძლებელია მათი მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია, მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, კურსდამტავრებულებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" (http://opac.gtu.ge/), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ ელექტრონულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review.

სტუ-ის აქვს შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ოთხი დარბაზი: ა) პერიოდული გამოცემების დარბაზი; ბ) კომპიუტერული დარბაზი; გ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი; დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს ბიბლიოთეკის თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში, დისტანციურად აწვდიან მოთხოვნილ ლიტერატურას.

პროგრამაზე სწავლებისას მნიშნელოვანი ელემენტს წარმოადგენს მულტიმედია ცენტრის ფუნქციონირება. ტელევიზიისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე და შესაბამისი ტექნიკით არის აღჭურვილი. აკრედიტაციის ჯგუფმა დაათვალიერა სატელევიზიო პროექტებისთვის განკუთვნილი სტუდია, სამონტაჟო, „ნიუსრუმი“. ტელევიზია უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის აუდიო და ვიდეო ტექნიკით, პროფესიული და ნახევრად პროფესიული კამერებით, მიკროფონებით და შტატივებით. სამონტაჟოკომპიუტერებითა და ვიდეო (აუდიო) ჩაწერებისათვის შესაფერისი ინტერიერით.

ამჟამად მულტიმედია ცენტრი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად სივრცე მოუწესრიგებელია და არ ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები. სტუდენტები არ ქმნიან ჟურნალისტურ პროდუქტებს. სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლების ჰიბრიდული მეთოდი იქნას გამოყენებული და ყველა რეგულაციის დაცვით, დღეების და სივრცეების გადანაწილებით მოხდეს რამდენიმე სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფების ადგილზე მისვლა და მუშაობა.

მას შემდეგ, რაც მოხდება ტელევიზიაში არსებული ტექნიკის სრულად ამოქმედება, სივრცის მოწესრიგება, მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სტუდენტები შეძლებენ ჟურნალისტისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ჟურნალისტური პროდუქტების შექმნას.

პროგრამის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სამედიცინო ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინფრასტრუქტურის და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება; • ინტერვიუს შედეგები; • სტუ–ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: http://gtu.ge/Library/ ; • სტუ- ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://gtu.ge/bef/Resources/Library.php; • ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს ფუნქციონირების განახლება ჰიბრიდულ რეჟიმში, რათა სტუდენტებს მიეცეთ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება სხვადასხვა სახის ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად. • სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი. ბიუჯეტში დეტალურად არ არის გაწერილი წიგნადი ფონდის შევსება - გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ –ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში

მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი თანხები. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი. ბიუჯეტში დეტალურად არ არის გაწერილი წიგნადი ფონდის შევსება - გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ –ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი თანხები. ბიუჯეტში არ არის გაწერილი წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ –ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების, სტუდენტების სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის საჭირო ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • ბიუჯეტი; • აკრედიტაციის პროცეში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • ბიუჯეტს უნდა დაემატოს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერის სქემა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ბიუჯეტში დეტალურად გაიწეროს წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი ხარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი საფაკულტეტო კოორდინატორებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების, კვლევის, სერვისებისა და მართვის მიმართულებით პროცესების დაკვირვებას, მონაცემთა ანალიზს, განმავითარებელი ფაზების განსაზღვრასა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვას. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზურნველყოფს, შესაბამისად, უნივერსიტეტის მისიის საფუძველზე დამყარებული საუნივერსიტეტო სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულებას. უნივერსიტეტის სივრცეში მოქმედი ხარისხის უზუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს: • უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; • უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით. ხარისხის საუნივერსიტეტო სისტემის მოქმედება ეფუძნება ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა (Planning), განხორციელება (Doing), შეფასება (Checking), განვითარება (Acting) (PDCA). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას წარმართავს შემუშავებული სამწლიანი სამოქმედო გეგმით, რომლის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რაც ნიშნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების კონკრეტულ ფაზებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია გაფართოვდეს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უწინარესად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რასაც უნდა ჰქონდეს პერმანენტული/უწყვეტი ხასიათი გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სივრცეში კონკრეტული პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება. ცვლილებათა მიდევნება შესაძლებელია როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირებთან აქტიური თანამშრომლობით, ერთ მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივი გადამზადებით. წინამდებარე პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ინტერნაციონალიზაციის პროცესებმა (სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტთაშორისი გაცვლითი თანამშრომლობით, სემინარებითა და ვორკშოფებით, რომლებიც დაიგეგმება არამხოლოდ დარგისა და განათლების ქართველი, არამედ უცხოელი ექსპერტების ჩართულობით). წინამდებარე პროცესები და პროცედურები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მარეგულირებელ დოკუმენტში, როგორიცაა ***საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი*** (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261დადგენილება), სადაც დეტალურად და კონკრეტულად, საფეხურებრივად არის აღწერილი ყველა ის სეგმენტი თუ ნიუანსი, რომელიც ფორმალურად და შინაარსობრივად აწესრიგებს საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისა თუ განვითარების ყველა ეტაპს. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფას ევალება წინამდებარე და სხვა მსგავსი დოკუმენტების ცალკეული ნიუანსის განმარტება ინსტიტუციის ყველა რგოლში, რომელიც კი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.

უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება რეგულარულად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობის ანალიზსა და შეფასებას. მოცემული პროცესების მხარდაჭერის მიზნით ინსტიტუცია მიმართავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატიურ შეფასებას, მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმებების შედეგების ანალიზს, რის შედეგადაც შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდება შესაბამის საუნივერსიტეტოს სამსახურებს შემდგომი რეაგირების მიზნით. კვლევების დიდი წილი მოდის სწავლისა და სწავლების ხარისხის შეფასებაზე, რომელიც ეფუძნება რეგულარულად განხორციელებულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგებს იყენებს საფაკულტეტო ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახური სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვლეყოფის ჩართულობით პროგრამის განმახორციელებელი პირები იწყებენ პროგრამის განვითარების ცალკეული ეტაპების დაგეგმვას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა, ანალიზსა და შეფასებას, რომელიც ასევე გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის. გარდა ამისა ხარისხის სამსახური პერიოდულად აორგანიზებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების თანახმად:

- პროგრამის ხელმძღვნელის/ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების დასწრების-აქტივობის მონიტორინგის შედეგები;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- პროგრამისკურსდამთავრებულებისდასაქმებისმაჩვენებელიდამათიგამოკითხვისშედეგები;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;
- გარეშემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში);
- სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., პროფესიული ასოციაცია) მიერ გაკეთებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში).

ამასთან ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი პროგრამის როგორც შედგენის, ისე მოდიფიცირების ეტაპები. სახელმძღვანელო დოკუმენტები არის დეტალურად მომზადებული და ეფუძვნება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდება, ასევე საერთაშორისო მარეგულირებ დოკუმენტებს. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ წარმოდგენილია კვლევები და შესაბამისი ანალიზებიც.

პროგრამის განმახორციელებლების მიერ სასურველი იყო მომზადებულიყო ანალოგიური პროგრამების შედარების დოკუმენტი, რომელიც მოზადდა საბაალავრო და სამაისტრო პროგრამებისთვის. შედარებითი ანალიზი პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობას მისცემდა გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკები და გაოცდილება დარგის კვლევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებიით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე;
- სასურველია მომზადდეს ანალოგიური პროგრამების შედარების დოკუმენტი, რომელიც დართული ქონდა საბაკალავრო და პროგრამების თვითშეფასების თანმხლებ დოკუმენტებს. შედარებითი ანალიზი პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობას მისცემდა გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკები და გამოცდილება დარგის კვლევებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანია ხარისხის გარე შეფასება, რაც რამდენიმე ფაზაში გამოიხატება. ცალსახად ობლიგატორულია შეფასება, რომელიც ხორციელდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის ან აკრედტიაციის პროცესში. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის №722 გადაწყვეტილებით, რომლის შემდგომ პროგრამა დაექვემდებარა მოდიფიცირებას, რაც ემყარებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის პროცესში შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. აკრედიტაციის შემდგომი მონაცემების ანალიზი და მისი ეტაპობრივი განხორციელება პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა მიიჩნია პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვნად, შესაბამისად, მათი მხრიდან გათვალისწინებულია ფაქტობრივად ყველა რჩევა და რეკომენდაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. გარვეულწილად პროგრამების განახლება და მათ შორის მოცემული პროგრამის, განხორციელდა ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში. ამას გარდა, უნივერსიტეტი რიგ შემთხვევებში მიმართავს გარე შეფასებას, რაც მოცემული პროგრამისთვისაც განხორციელდა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა პირველ რიგში დამსაქმებლების, ხოლო შემდგომ პარტნიორი უნივერსიტეტების დარგობრივი მიმართულებების მიერ. როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტებმა აჩვენა დამსაქმებლების ჯგუფი მოცემულ პროგრამასაც ჰყავს, მაგრამ სასურველია მათი გამრავალფეროვნება დარგობრივი ნიშნით და გამოცდილებით, და პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა გარეშეფასების ცალკეული დოკუმენტები, რომელიც შესრულებული იყო 1 ქართული (ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი (ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფ. იოსებ სანიკიძე) და 2 უცხოური საგანმანათლებლო-კვლევითი ინსტიტუციების (მაგდებურგის (გერმანია) ოტო ფონ გუერიკეს უნივერსიტეტისა და პრაღის (ჩეხეთი) გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო საზოგადოების) მიერ. ოთხივე

გამოხმაურება არის ზოგადი ხასიათის პროგრამის დახასიათება და ნაკლებად ანალიზზე ორიენტირებული. შესაბამისად, პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდგომი გზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/; • გამოხმაურებები; • ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის გამრავალფეროვნება დარგობრივი ნიშნით და გამოცდილებით და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში; • პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა არ არის სტატიკური მონოლითი, რომელიც დღიდან დამკვიდრებისა არ და ვერ იცვლება. მისი მოდიფიკაცია, განახლება და გათანამედროვება განპირობებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებითა და გამოწვევებით. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული სიახლეები სამუშაო პროცესში გარკვეულწილად დაკვირვებისა და შეფასების ობიექტი უნდა გახდეს, რაც პერიოდულად კონკრეტული მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი კომპლექსურ ხედვას მოითხოვს, მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამ პროცესებში მაქსიმალურად უნდა იყოს უსდ-ს პრაქტიკულად ყველა რგოლი ჩართული.
უმაღლეს სასწავლებელში პერიოდული შეფასება რა თქმა უნდა ხორციელდება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული ყველა პირი. პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებასაც და სხვა არაერთ აქტივობას. თუმც შეფასების პროცესი ისედაც შიდა ხარისხის შეფასების რუტინაა. რაც შეეხება მონიტორინგის პროცესებს, ის უნდა განისაზღვროს პროგრამისადმი კონკრეტული პირობების, მიზნებისა და ამოცანების წაყენების შემდგომ ზუსტად განსაზღვრული მეთოდოლოგიით, რაც საშუალებას მისცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანალიზის საფუძველზე დაადგინოს როგორც პროგრამის წარმატებული, ისე ჩრდილოვანი დეტალები და კონკრეტული სტრატეგიის შემუშავების შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაჯანსაღების, ახალი განვითარების პროცესებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ქიმერიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნათია კუპრაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნათია სვანიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
თათია უბერი